კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

სოფიკო ღვინიანიძე

მმართველობითი სისტემის განვითარება ფარმაცევტულ ბიზნესში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

პროფესორი მანანა მარიდაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი 0141, საქართველო

2023

სამეცნიერო ნარომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა მარიდაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ოფიციალური რეცენზენტები:

1. **ეკატერინე გულუა** - ეკონომიკის დოქტორი, მენეჯმენტის და ადმინისტრირების კათედრის ასისტენტ-პროფესორი, ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის დამფუძნებელი და მენეჯერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. **მამუკა თორია** - ეკონომიკის დოქტორი, მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2023 წლის 20 ივლისს, 12 საათზე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქ. N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი.

დისერტაციის სრული ტექსტის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ----------

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა და საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება

მსოფლიოში სტაბილურად მზარდ და სწრაფად განვითარებად ბიზნესებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფარმაცევტულ ბიზნესს და შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური სფეროა. ფარმაცევტული ინდუსტრიის პროდუქტები აუცილებელია ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გაზვიადების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარების ეკონომიკური ასპექტების ყოვლისმომცველი კვლევის მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების საკითხიც არის, ვინაიდან, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი, ფარმაცევტული ინდუსტრია სერიოზულად მოქმედებს მთელი ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ მდგომარეობაზე. ბოლო პერიოდის კოვიდ-19 პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა მსოფლიო-კრიზისმა კიდევ ერთხელ და მკაფიოდ დაადასტურა ფარმაცევტული სექტორის მიღწევების ფართო და მნიშვნელოვანი მულტი-დარგობრივი მნიშვნელობა კაცობრიობისთვის.

დამოუკიდებელი ქართული ფარმაცევტული ბაზარი ჩამოყალიბდა და განვითარდა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში. სსრკ-ს დაშლიდან პირველად მხოლოდ 1997 წელს შეიქმნა ნაციონალური საკანონმდებლო რეგულაციები. მიღებულ იქნა საქართველოს ,,კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. დარგობრივი კანონმდებლობის

ფორმირების შემდეგ კი იწყება ოფიციალური ფარმაცევტული კომპანიების ჩამოყალიბება. მათი რიცხვი თანდათან იზრდება, ასევე შეინიშნება ბაზარზე ლიდერი კომპანიების ჩამოყალიბებაც. ასეთი კომპანიების წარმატება მენეჯმენტის ეფექტიანობაზე მიუთითებს, რადგან სწორედ მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციაა სარისკო სიტუაციების გადალახვა აწმყოსა და მომავალში, ცვალებად ბიზნეს გარემოში სწრაფი რეაგირებისა და ადაპტირების უნარის გამოვლენა, კომპანიის მოგების მიმართვა ბიზნეს- რისკების შემცირებისა და დაძლევისკენ, და ამავდროულად სამომავლო განვითარების სტრატეგიული ღონისძიებების დაგეგმვა. ქართული ფარმაცევტული ბიზნესის ლიდერი კომპანიების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ გაართვეს თავი ამ გამოწვევებს.

ბიზნესის სფეროში, მათ შორის ფარმავევტულ ბიზნესში მოღვაწე კომპანიების წარმატებული მუშაობა წარმოუდგენელია თანამედროვე, ინოვაციური მენეჯმენტის გარეშე. გლობალიზაციის ეპოქაში, კომპანიები დგანან სხვადასხვა რთული გამოწვევების წინაშე. სულ უფრო ფართოვდება ბაზრები, ძლიერდება როგორც კონკურენცია, ასევე საერთაშორისო მარეგულირებლების მოთხოვნები, რის გამოც მენეჯერები ცდილობენ შეიმუშაონ მართვის ისეთი ინოვაციური მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ეფექტიან განვითარებას და შემდგომ ფუნქციონირებას. ამ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემათა სპექტრი განსაკუთრებით მრავალფეროვანი და სპეციფიურია. უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკური ანალიზის, დაგეგმვისა და მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების თავისებურებები.

კომპანიების სიცოცხლის უნარიანობა და წარმატება პირდაპირ კავშირშია მენეჯმენტთან, რომელმაც სწორად უნდა შეაფასოს

განვითარების რა ეტაპზეა ბიზნესი კონკრეტულ მომენტში, და უზრუნველყოს დასახული მიზნების მინიმალური დანახარჯების გზით მიღწევა მაქსიმალურად ეფექტურად, არსებული ორგანიზაციული რესურსების სწორი დაგეგმვის, მოტივაციისა და კონტროლის საფუძველზე.

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება თუ როგორ განსაზღვრავენ ქართული ფარმაცევტული კომპანიები სამომავლო სტრატეგიას, მმართველობითი თეორიის რა ინოვაციურ მიდგომებს და მეთოდებს იყენებენ გადაწყვეტილებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, რათა უფრო ეფექტურად იფუნქციონირონ მომავალში.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციული გარდაქმნები მოხდა. თუმცა მიუხედავად ამისა კვლავაც აქტუალურია ფარმაცევტული ბიზნეს პროცესების მართვის სისტემის მოდელირების მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული, მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება, მათი ფუნქციონირების სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნის, აგრეთვე სახელმწიფო რეგულირების მეთოდებისა და მექანიზმების გათვალისწინებით.

ბიზნეს პროცესების მოდელირებისა და მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო საფუძვლების შექმნა ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო ცოდნის დაგროვებას ფარმაცევტული მენეჯმენტისა და ეკონომიკის სფეროში, ისე მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებას და ფარმაცევტული ბიზნეს პროცესის ეფექტურობის გაზრდას.

ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა და ანალიზი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რიგი ობიექტური მიზეზების გამო საკმაოდ

მწირია. საკითხის არასათანადო შესწავლამ, აგრეთვე ინოვაციური მართვის მეთოდების თავისებურებების კვლევის აუცილებლობამ, მეცნიერული შესწავლისა და მიგნებების პრაქტიკული გამოყენების საჭიროებამ განაპირობა წარმოდგენილი სადისერტაციო თემის შერჩევა.

ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ამ სადისერტაციო კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა საკმაოდ აქტუალური და გამართლებულია.

პრობლემის სამეცნიერო შემუშავების ხარისხი პროცესის მოდელირებისა და კონტროლის პრობლემები წარმოადგენს სამეცნიერო კვლევის ახალ სფეროს, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

მენეჯმენტის ინოვაციური ფაქტორების თავისებურებების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლას ეძღვნება მრავალი უცხოელი და ქართველი მეცნიერის შრომები. შესწავლილი ლიტერატურისა და კვლევების ანალიზი გვიჩვებენებს, რომ მენეჯმენტის ინოვაციური ფაქტორების თავისებურებების მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლა კომპლექსური საკითხია. ამრიგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მენეჯმენტის საკითხები თეორიულად სრულყოფილად არის დამუშავებული. სირთულეები თეორიული ცოდნის პრაქტიკული იმპლემენტაციაა. გარკვეული პრობლემებია აგრეთვე ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტში. ამ მიმართულებით არსებობს საზღვარგარეთ სერიოზული გამოკვლევები და დიდი ფარმაცევტული კომპანიების წარმატებული გამოცდილება.

საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. არსებობს სხვადასხვა კვლევა ფარმაცევტული ბინესის შესახებ, მათ შორისაა „საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს“ კვლევები. საერთაშორისო ფონდ

„კურაციოს“ მიერ ჩატარებული კვლევა, აგრეთვე bpn.ge-ს გამოკვლევები საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფასების შესახებ, შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია ფარმაცევტული პრეპარატების იმპორტ-ექსპორტისა და საერთო მდგომარეობის შესახებ და სხვ. სტატისტიკური ინფორმაცია, რაც შეეხება ფარმაცევტული ბიზნესის მართვის საკითხებს, აქ აღსანიშნავია კსუ-ს ასოცირებული პროფესორის მანანა მარიდაშვილისა და მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომები. ამდენად, კვლავაც დღის წესრიგშია ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტის საკითხების დამუშავება.

მიუხედავად მრავალი ნაშრომისა ბიზნეს პროცესების მართვის შესახებ, მაინც უნდა ითქვას, რომ ფარმაცევტული ინდუსტრიაში ბიზნეს პროცესების მოდელირების სისტემების პრობლემის განვითარების დონე აშკარად არასაკმარისია.

სასურველია, რომ ხელმძღვანელთა საქმიან პრაქტიკაში დამკვიდრდეს გამოცდილების დაგროვებისაკენ სწრაფვა, პროფესიონალ მენეჯერთა შრომის გამოყენება საკითხისადმი პრაგრმატული ხედვა, მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირება-ფუნქციონირების თეორიულ და კომპიუტერული კვლევა. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენება მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების დროს რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღება ხდება მეცნიერული დამუშავებით და დადასტურებულად, რეალური ვითარების გათვალისწინებით, რაც ხელმძღვანელს იცავს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღებისაგან.

თემის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფარმაცევტული ბაზრის ბიზნეს პროცესის გამოკვლევა და ფარმაცევტული ბაზრის სპეციფიკის შესაბამისი მენეჯმენტის ინოვაციური სისტემების მქონე ბიზნეს მოდელების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გათვალისწინებით.

კვლევის მიზნის მისაღწევად, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრისა და მისი განვითარების პერსპექტივების გაანალიზება;
- ქართული ფარმაცევტული ბაზრის კვლევა;
- ფარმაცევტული ბიზნეს კომპანიების მართვის თანამედროვე მოთხოვნებისა და პრინციპების გაანალიზება და მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- მენეჯმენტის ინოვაციური ფაქტორებისა და მეთოდური მიდგომების სისტემატიზება, მათი თავისებურებებისა და მნიშვნელობის შეფასება და ანალიზი;
- ინოვაციური ბიზნეს მოდელების სტრუქტურისა და მახასიათებლების განსაზღვრა ფარმაცევტულ ბიზნესში;
- ქართული და უცხოური ფარმაცევტული კომპანიების შედარებითი ანალიზის ჩატარება;
- უცხოურ ფარმაცევტულ კომპანიებში მმართველობით სისტემის თავისებურებების შესწავლა, შეფასება და მენეჯმენტში ინოვაციური ფაქტორების გამოყენების ანალიზი;
- ქართული ფარმაცევტული კომპანიების მიერ ინოვაციების გამოყენების ანალიზი

- საქართველოს ფარმაცევტული კომპანიების განვითარების ინოვაციურ ბიზნეს მოდელებზე დაფუძნებული სტრატეგიების განსაზღვრა

კვლევის ჰიპოთეზა, რომლის შემოწმებაც მოხდა ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მდგომარეობს შემდეგში:

- H საქართველოში ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი სისტემა ვერ ახდენს არსებით გავლენას ფარმაცევტულ ბაზარზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანს წარმოადგენს: ფარმაცევტული ბაზარი, ფარმაცევტული ბიზნესი და ფარმაცევტულ ბიზნესში არსებული მენეჯმენტის სისტემა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს:

- საქართველოს ფარმაცევტული კომპანიების მენეჯმენტი;
- საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი სისტემა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური სისტემების თეორია, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თეორია, სტრატეგიული დაგეგმვისა და მენეჯმენტის თეორია, ორგანიზაციის თეორია და მათზე დაფუძნებული მეთოდოლოგიური მიდგომები, ანალიზის, სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები, საჯარო მმართველობის თეორია, ადგილობრივი და უცხოელი

ეკონომისტების სამეცნიერო შრომები და ფარმაცევტული მენეჯმენტისა და ეკონომიკის დარგის სპეციალისტების შრომები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საკანონმდებლო აქტები, მთავრობის განკარგულებები და გადაწყვეტილებები მოსახლეობისთვის მედიკამენტების მიწოდების სფეროში.

- სახელდობრ, ნაშრომის პირველ თავში გამოყენებულია მეორეული ინფორმაციის სამაგიდე აღწერითი და ანალიტიკური კვლევის მეთოდები, აგრეთვე ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. პრაქტიკული კვლევა ჩატარდა კვლევის ჩატარების რეკომენდაციების შესაბამისად.
- მეორე თავში გამოყენებულია სტატისტიკური ინფორმაციის ისტორიული ანალიზის, შედარებისა და პროგნოზირების მეთოდები, აგრეთვე ფარმაცევტული ქსელის მომხმარებელთა და პროფესიონალ სპეციალისტთა ემპირიული კვლევა ალტერნატიული პასუხების შერჩევის შესაძლებლობის მქონე დახურული კითხვარების გამოყენებით, დსთ-ის პროფესიონალ რესპონდენტთა გამოკითხვა Qualtrics-Online Survey Questionnaire-ს ელექტრონული პორტალის მეშვეობით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. პრაქტიკული კვლევა ჩატარდა კვლევის ჩატარების რეკომენდაციების შესაბამისად.

- მონაცემთა ანალიზი განხორციელდა „მაიკროსოფტ ექსელის“ (MS Excel) მეშვეობით. პროფესიონალ რესპონდენტთა რაოდენობა განისაზღვრა, როგორც სისტემური ამონარჩევი დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენლობების მიხედვით (სულ 14 წარმომადგენლობა, მიღებულ იქნა 10 პასუხი).
- გარდა ამისა, იგივე თემასთან დაკავშირებით სატელეფონო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით გამოიკითხა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლები, ბიზნესის წარმომადგენლები, საქართველოში საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლობის ასოციაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დარგობრივი ექსპერტები.
- მესამე თავში გამოყენებულია ფაქტორული ანალიზის, შედარების და სინთეზის მეთოდები.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ასახულია მართვის თეორიის ძირითადი ასპექტები, ინოვაციური მენეჯმენტის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მენეჯერული მართვის თეორიის ძირითადი მეთოდების გამოყენების თავისებურებები ზოგადად ბიზნესში და ასევე კონკრეტულად ფარმაცევტული ბიზნესის მაგალითზე.

წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა შეფასება თუ როგორ განსაზღვრავენ წარმატებული ქართული ფარმაცევტული კომპანიები სამომავლო სტრატეგიას, მმართველობითი თეორიის რა ინოვაციურ მიდგომებს და მეთოდებს იყენებენ გადაწყვეტილებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, რათა უფრო ეფექტურად იფუნქციონირონ მომავალში.

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგია, მმართველობით გადაწყვეტილებაზე ზემოქმედი ფაქტორებისა და გარემოს ანალიზი, ინოვაციური მიდგომების გამოყენება მართვის ეფექტურობის ამაღლების კუთხით. ასევე შედარებითი ანალიზი უცხოური და ქართული ფარმაცევტული მენეჯმენტის გადაწყვეტილებების განხილვის მაგალითზე.

ნაშრომი დაეხმარება ფარმაცევტული ორგანიზაციების მმართველ რგოლებს, მის მენეჯმენტს, გააცნობიეროს ორგანიზაციაში არსებული მმართველობის სტილი, შეძლოს მისი ობიექტური დახასიათება, შეფასება და გაუმჯობესება. მოახდინოს მიმდინარე პრობლემების სწრაფი იდენტიფიკაცია და მიიღოს სხარტი, გონივრული და მოქნილი გადაწყვეტილებები.

სადისერტაციო ნაშრომში მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კომპანიების რეალურ საქმიანობაში. სახელდობრ:

მკვლევრებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი რათა მეტი ინფორმაცია მოიპოვონ მმართველობითი სისტემის განვითარების ფაქტორების სისტემური ანალიზის შესახებ.

დისერტაცია დაეხმარება მკვლევარებს, გაიღრმაონ ცოდნა მართვის სტრუქტურაში ინოვაციური განვითარების ეფექტურობის ამაღლების შესახებ.

დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ, მიიღონ სანდო ინფორმაცია ქართული ფარმაცევტული კომპანიების მიერ მმართველობითი სისტემის ინოვაციების გამოყენების ანალიზის შესახებ;

დაინტერსებული კომპანიის მენეჯერებს ექნებათ საშუალება, მოიპოვონ სასურველი ინფორმაცია, თუ როგორ იყენებენ დასავლეთის განვითარებული კომპანიები ინოვაციურ ფაქტორებს მმართველობით საქმიანობაში.

ქართველ მენეჯერებს ექნებათ საშუალება, გაიზიარონ უცხოეთის საუკეთესო და ეფექტური პრაქტიკა ქართულ კომპანიებში, რათა უზრუნველყონ ორგანიზაციის უფრო ეფექტიანად და ინოვაციურად მართვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

დადგენილია საქართველოს ფარმაცევტული ბაზრისა და არსებული ბიზნეს პროცესების სპეციფიკა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების გათვალისწინებით, რაც არსებული სისტემის ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა;

შემუშავებულია ბიზნეს პროცესების მართვის სისტემების მოდელი–რების მეთოდოლოგიური საფუძვლები, ფარმაცევტული ბაზრის მართვისა და ეფექტურობის გაუმჯობესების თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციები.

სახელდობრ, სადისერტაციო ნაშრომის სიახლე გამოხატულია კონკრეტული შედეგებით:

- სისტემატიზებულია ინოვაციური ფაქტორები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა მმართველობით სისტემაში;
- ჩამოყალიბებულია ინოვაციური ბიზნეს მოდელების სტრუქტურა და მახასიათებლები ფარმაცევტულ ბიზნესში;
- ჩამოყალიბებულია საქართველოს ფარმაცევტული კომპანიების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები;
- ჩატარებულია თეორიულ და ემპირიული კვლევა, რომელმაც წარმოაჩინა საქართველოს ფარმაცევტულ სისტემაში არსებული გამოწვევები და პრობლემები.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, 16 ქვეთავის, ძირითადი მიგნებების, დასკვნების და რეკომენდაციების, ლიტერატურის ჩამონათვალისა და 2 დანართისგან. ნაშრომი მოიცავს 162 გვერდს.

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ფარმაცევტული ბიზნესის მმართველობით სისტემაში ინოვაციური თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

1.1. თანამედროვე ფარმაცევტული ბაზარი და განვითარების პერსპექტივები

1.2. ინოვაციური ფაქტორები და მათი მნიშვნელობა მმართველობით სისტემაში

1.3. ინოვაციური ბიზნეს მოდელები ფარმაცევტულ ბიზნესში

თავი 2. ფარმაცევტული კომპანიების მმართველობითი სისტემის ანალიზი, უცხოური გამოცდილება და საქართველო

2.1. გლობალური და ქართული ფარმაცევტული ბიზნესის რეგულაციების ანალიზი

2.1.1. ფასის რეგულირება ფარმაცევტული პროდუქტებისთვის

2.1.2. გენერიკული მედიკამენტების გამოყენების ხელშეწყობა

2.1.3. ფარმაკო-ეკონომიკური მიდგომა და ჯანმრთელობის ტექნოლოგიების გამოყენება

2.2. ქართული ფარმაცევტული ბაზრის კვლევა

2.2.1. კვლევის ინდიკატორები

2.2.2. ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებლი კანონმდებლობა

2.2.3. კონკურენტული გარემო ფარმაცევტული ბიზნესის სექტორში

2.2.4. ფარმაცევტული ბაზრის დინამიკა საქართველოში

2.2.5. ფარმაცევტული ბაზრის ემპირიული კვლევა

თავი 3. თანამედროვე ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

3.1. მმართველობითი სისტემის სრულყოფის მოთხოვნები

3.2. ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემოს ანალიზი

3.3. მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირების თეორიული მიდგომების განსაზღვრა

ძირითადი მიგნებები

დასკვნა და რეკომენდაციები

დანართები

გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის **შესავალში** დასაბუთებულია თემის აქტუალობა და მოცემულია პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, ჩამოყალიბებულია კვლევის ჰიპოთეზა, დასახულია კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და მეთოდები. წამოდგენილია ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის **ლიტერატურის მიმოხილვაში** ნაჩვენებია, რომ დისერტაციაში წარმოდგენილ საკითხებს მიძღვნილი აქვს მთელი რიგი ნაშრომები, როგორც ქართველი ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ, რაც მოცემულია კიდეც ჩვენს მიერ წარმოდგენილ ლიტერატურის მიმოხილვაში. ამასთან გაანალიზებულია დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო და კვლევითი ლიტერატურა, ეს არის მენეჯმენტის ზოგადი თეორია, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, და მოტივაცია, ელექტრონული მმართველობის საკითხები, კვლევის მეთოდები.

დისერტაციის პირველ თავში - „ფარმაცევტული ბიზნესის მმართველობით სისტემაში ინოვაციური თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები“ - გაანალიზებულია თანამედროვე ფარმაცევტული ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები. ნაჩვენებია, რომ ფარმაცევტულ ინდუსტრიას ახასიათებს წარმოებისა და მოგების მაღალი დონის ზრდის ტემპები, ხოლო მედიკამენტებზე მოთხოვნილების ზრდა, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე ცალკეულ ქვეყნებში, პრაქტიკულად დამოუკიდებელია ეკონომიკის აღმავლობისგან. სავსებით აშკარაა, რომ გარდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ეფექტისა,

მედიკამენტის გავლენის ე.წ. სოციალურ ეფექტს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს გამოიხატება გამოჯანმრთელებული ადამიანის სოციალურ ადაპტაციაში, ურთიერთობების, აქტიური ცხოვრების წესისა და სამუშაოზე დაბრუნებაში.

საპროგნოზო კვლევებით ფარმაცევტული ბაზრის ზრდის წლიური ტემპი იქნება 5-8%. ფარმაცევტული ბაზრის განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია წამლების პატენტის დაცვის დასრულება (ერთი მხრივ) და განვითარებადი წამყვანი ბაზრების მოცულობის ზრდის ტემპი (მეორე მხრივ). ქვეყნების ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისთანავე, მედიკამენტებზე მოთხოვნა გაიზრდება, სწრაფად განვითარებადი ფარმაცევტული ბაზრების მთლიანი ზრდა განვითარებული ბაზრების ანალოგიური იქნება - დაახლოებით 120-140 მილიარდი დოლარი. თუმცა ახლო მომავალში შესაძლოა ფარმაცევტული ბაზარი ოდნავ გაჯერდეს და დასტაბილურდეს. ამავე დროს, მოსალოდნელია წამლის უკმარისობა ე.წ. დაუკმაყოფილებელი სამედიცინო საჭიროებების თერაპიულ სეგმენტში (“unmet medical need”), რაც თავის მოთხოვნებს უწესებს ფარმაცევტული კომპანიების მენეჯმენტს ინოვაციური წამლების შესაქმნელად სტრატეგიის დასახვისა და განხორციელების კუთხით.

შესაბამისად ნაშრომში ჩამოყალიბებულია მართვის ის მოთხოვნები,

რომელიც უნდა დააკმაყოფილოს თანამედროვე ბიზნეს კომპანიამ, რათა მიჰყვეს ბაზრის მოთხოვნებს და არ ჩაიძიროს კონკურენციულ ბრძოლაში. პირველ რიგში, ეს არის ინოვაციური ფაქტორები მმართველობით სისტემაში, რომელთა მნიშვნელობა გადამწყვეტია მმართველობითი სისტემის ეფექტიანობისთვის.

ამ მხრივ საქართველოს ფარმაცევტული ბიზნესი თითქოს სწორი მიმართულებით ვითარდება, თუმცა კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ფარმაცევტულ ინდუსტრიაში არსებული მარეგულირებელი და ნორმატიული პრინციპები გარკვეულწილად არასაკმარისი და ხარვეზულია. საჭიროა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს წარმატებული საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება, WHO-ს აპრობირებულ და საიმედო რეკომენდაციებთან ჰარმონიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფარმაცევტული ინდუსტრიის გაძლიერებას და ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას.

ჯანდაცვის სფეროსა და ფარმაცევტული ბიზნესის არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

- ფარმაცევტული სისტემის სუსტი რეგულაცია;
- კონკურენტული გარემოს სუსტი რეგულაცია;
- მედიკამენტებზე ფასების სუსტი რეგულაცია;
- მიწოდებული სამედიცინო სერვისების ხარისხი;
- მედიკამენტების ჭარბი მოხმარება - პოლიპრაგმაზია;
- გენერიკების დანიშვნის სიმცირე;

რჩება მრავალი გამოწვევა, რაც ძირითადად უკავშირდება ჯანდაცვაში გაწეული დანახარჯებისა და მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის გაზრდას, თვითმკურნალობის მანკიერ პრაქტიკასა და გაუმჭვირვალე მარკეტინგულ აქტივობებს და ა.შ.. შესაძლებელია სიტუაციის გაუმჯობესება? ჩვენი აზრით შესაძლებელია! მენეჯმენტის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, სათანადო კვლევით, ანალიზით და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებითა და იმპლემენტაციით. ასეთი მიდგომა საშუალებას მისცემს ფარმაცევტულ ბიზნესში მოღვაწე

კომპანიებს გააძლიერონ საკუთარი ძლიერი მხარეები და სრულად გამოიყენონ შესაძლებლობები, რათა აირიდონ მოსალოდნელი საფრთხეები, მოიზიდონ ინვესტიციები და საკუთარი საქმიანობა გახადონ თანამედროვე, მოწინავე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი.

პირველ რიგში ფარმაცევტულმა კომპანიებმა პასუხი უნდა გასცენ ბიზნეს საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნათა 4 ძირითად კითხვას: ვინ უნდა დაკმაყოფილდეს? რა უნდა დაკმაყოფილდეს? როგორ უნდა დაკმაყოფილდეს? რატომ უნდა დაკმაყოფილდეს?

აუცილებელია ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა. ვინაიდან ასეთ პირობებში ბიზნეს სუბიექტები მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე მყისიერად რეაგირებენ სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრების (პროდუქციის ფასი, ხარისხი და სხვა) ცვლილებით, რაც განაპირობებს ეკონომიკის ზრდას და ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი ბიზნეს სუბიექტების გადარჩენასა და სელექციას. შედეგად კი ყალიბდება მომხმარებლებზე ორიენტირებული ბაზარი.

დღეის მდგომარეობით გვაქვს მოცემულობა, როდესაც ბაზარი ძლიერ კონცენტრირებულია. ბაზარზე სტაბილურად არის წარმოდგენილი რამდენიმე ლიდერი კომპანია. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ადგილი აქვს გარკვეულ ბიზნეს გარიგებებს ბაზრის დომინანტ კომპანიებს შორის, ფასებსა და ფასდაკლებებზე წინასწარ შეთანხმებებს, რომლებიც არაგამჭვირვალე და უპირატეს პირობებში ამყოფებს გარიგებაში მყოფ კომპანიებს და უსამართლო პირობებს უქმნის დანარჩენ სუბიექტებს. ასევე შედეგად ვიღებთ არამართლზომიერ მდგომარეობას, როდესაც ხშირია სახელმწიფოსა და მომხმარებლების ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებები (მუდმივად

მზარდი ფასნამატი და ერთ-ერთი მაღალი ფასი რეგიონში) ყველაზე მაღალი ფარმაცევტული დანახარჯების წილი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში.

დასაძლევია სხვადასხვა ბარიერები, რომლებიც უკავშირდება ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს, კორუფციულ გარიგებებს, ნეპოტიზმის გამოვლინებას და სხვ. რაც ხელს უშლის დღესაც ბიზნეს საქმიანობის განვითარებას. შესაძლოა ამ მიზეზების გამოც კვლავ პრობლემაა გუნდური მუშაობის დანერგვა, საერთაშორისო გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენება ქართულ რეალობაში და სხვ. საბოლოო ანგარიშით ეს ყველაფერი აქვეითებს მენეჯმენტის ხარისხს და ამცირებს კომპანიის წარმატების ხარისხობრივ და ფინანსურ მაჩვენებლებს, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება ისევ მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

არსებული თეორიული ნაშრომებისა და სხვადასხვა კვლევების გაანალიზებით ნათელი ხდება, რომ კარგი მენეჯერი ხასიათდება მაღალი მორალური ფასეულობებით, პასუხისმგებლობით და პრაგმატიზმით. მას აქვს გარემოს და გამოწვევების ობიექტურად აღქმის უნარი, იგი საღად აფასებს რისკებს, შეუძლია მათი შეფასება და წინააღმდეგობების დაძლევის გზების დასახვა კონფლიქტების გარეშე. მაგრამ ერთია პრობლემებისა და ნაკლოვანებების დანახვა, საჭიროა მათი გადაჭრის გზების დასახვაც და მენეჯერული ალგორითმების შემუშავება კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ასეთი ხელმძღვანელი, წარმატებული მენეჯერი მართავს არა დირექტივების გაცემით, არამედ თვითონ მიუძღვის თანამშრომლებს საერთო მიზნისაკენ. ასეთი მენეჯერს შეიძლება ვუწოდოთ ლიდერი, იგია პასუხისმგებელი მთლიან შედეგებზე და საკუთარი

გადაწყვეტილებებით და მოქმედებებით იმსახურებს ხელმძღვანელის თანამდებობას.

ცხადია, ლიდერი მომთხოვნია, ხასიათდება გარკვეული სამართლიანი სიმკაცრით, მაგრამ ორიენტირებულია თანამშრომლობაზე, შედეგზე და არა დასჯაზე. მან უნდა შეარჩიოს საქმისადმი რელევანტური პროფესიონალი პერსონალი, გააჯანსაღოს ის ადამიანური რესურსი, რომელიც არსებობს კომპანიაში და ჩამოაყალიბოს ისეთი გუნდი, რომელიც იქნება მოტივირებული და ერთიანად იმოქმედებს კომპანიის საერთო მიზნების მისაღწევად. სწორედ ასეთ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე კომპანიაში ინოვაციური მენეჯმენტი.

ამ მიზნით ფარმაცევტული და ბიო-ტექნოლოგიური ინდუსტრია სხვადასხვა თვალსაზრისით უნდა გავაანალიზოთ. ძირითადად გავრცელებულია ასეთი შეხედულებები: რესურსზე დაფუძნებული შეხედულება (the Resource-Based View), ცოდნაზე დაფუძნებული შეხედულება (the Knowledge-Based View), სტრატეგიული ჯგუფების ფორმირება (Strategic Groups Formation), ინოვაციური მენეჯმენტის გამოყენება, რაც როგორც ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა აუმჯობესებს კომპანიების საქმიანობას, ამავე რიგშია სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და ახალი მეთოდების შესწავლა და დანერგვა, აგრეთვე აუთსორსინგი, ალიანსების ფორმირება, ხარჯების შემცირებაზე ორიენტირებული მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება და სხვ. შესაბამისად იცვლება ბიზნესის მოდელები. ბიზნეს მოდელებმა და კომპანიებმა ერთმანეთი უნდა შეავსონ და შექმნან „ღირებულების შემქმნელი ქსელი“ (a value creation network). ერთმანეთთან კონკურენტული ბრძოლისა და მარკეტინგული ომების ნაცვლად შემოდის

ახალი, „ლურჯი ოკეანის “ სტრატეგია, რომელიც მოწინააღმდეგის განადგურებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მასთან თანამშრომლობით მომხმარებლისთვის უკეთესი პროდუქციის, სერვისისა და პირობების შეთავაზებას. ეს არის უმთავრესი ახალი ბიზნეს მოდელის შექმნის პროცესში.

ინოვაციური მართვა ფარმაცევტულ მრეწველობაში და ბინზესში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მენეჯმენტის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა ცვლილებების მართვა (Change management), რისკების მართვა (risk management), პროექტების მართვა (project management), ინვესტიციების მოზიდვა და მართვა (investment management), ცოდნის ეკონომიკა და მართვა (knowledge management). გარდა ამისა ფარმაცევტული ბიზნესის განვითარება წარმოუდგენელია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებით. იმისათვის, რომ ფარმაცევტული ბიზნესი წარმატებით ვითარდებოდეს საჭიროა სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უახლესი მედიკამენტების შემენა და მათი რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე, არამედ აგრეთვე ფარმაცევტული კომპანიების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში, მედიკამენტების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების კვლევების თვალსაზრისით. ამისათვის უმნიშვნელოვანესი რესურსია ინოვაციური პოტენციალი - ინტელექტუალური, მეცნიერულ-ტექნიკური, საწარმოო, მატერიალური და ფინანსური რესურსების ერთობლიობა. ყოველივე ეს მიმართული უნდა იყოს ინოვაციურ საქმიანობაში, რომელიც საშუალებას მოგვცემს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავების შედეგად სრულყოფილი საქონლის თუ მომსახურების შექმნა შევძლოთ, რომელიც კონკურენტუნარიანი და მოთხოვნადი იქნება შიდა თუ საგარეო ბაზარზე.

მრავალი მენეჯერი ცდილობს შეაფასოს დანერგილი ინოვაციის შედეგი რიცხობრივი მონაცემებით. ისინი ზომავენ საკუთარი ინოვაციური გადაწყვეტილებების სარგებლიანობას და სისწორეს შემდეგი კრიტერიუმებით: კომპანიის საერთო შემოსავლები; კლიენტთა კმაყოფილება; შემოსავლები ახალი პროდუქტებიდან; შრომის ნაყოფიერების ზრდა; მოგების ზრდის დინამიკა და ა.შ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მენეჯმენტის სტრატეგიული ინოვაციური პოლიტიკის შეფასება. სტრატეგიული ინოვაციური პოლიტიკისა და მის მიმართ მენეჯმენტის დამოკიდებულების საზომი მარკერებია:

- წლიური ბიუჯეტი კვლევებისა და განვითარებისთვის (R&D budget)
- პროცენტული თანაფარდობა ბიუჯეტისა (R&D budget) და წლიური გაყიდვებს შორის
- წლის განმავლობაში მიღებული პატენტები ან ინოვაციური პროექტები
- წლის განმავლობაში საინიციატივო ჯგუფიდან მიღებული ახალი ნოვატორული იდეების რაოდენობა

ეს მარკერები საინტერესო სურათს ქმნის თუმცა მაინც არასაკმარისია და ყველა ბიზნეს-პროფილს შეიძლება ვერ მიესადაგებოდეს. თუმცა არსებობს უფრო ზოგადი საზომი ინოვაციის რენტაბელობის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ინოვაციის ფინანსური მოგების ფარდობას ინოვაციაზე ჯამურ დანახარჯებთან. *K რენტაბელობა = ინოვაციის ფინანსური მოგება / ინოვაციაზე ჯამური დანახარჯი*

ზოგჯერ სარგებლობენ კომპლექსური მაჩვენებლით - ინოვაციის ინდექსი, რაც კომპანიის ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებულ

მრავალ კომპონენტს ითვალისწინებს: (ნოვატორული იდეების რაოდენობა, ინოვაციურ პროცესში ჩართული თანამშომლების რაოდენობა, კომპანიის მოგების ზრდა ინოვაციიდან გამომდინარე, მიღებული პატენტების და საავტორო უფლებების რაოდენობა). აქედან გამომდინარე შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციულ-მმართველობით ინოვაციების *(ორგანიზაციული ნოვატორობა, მართვის ნოვატორობა, ეკონომიკური ნოვატორობა, სოციალური ნოვატორობა, მარკეტინგული ნოვატორობა, იურიდიული ნოვატორობა, კორპორატიული ნოვატორობა)* განხორციელება.

დაბოლოს პირველ თავში გაანალიზებულია ინოვაციური ბიზნეს მოდელების ფარმაცევტულ ბიზნესში განხორციელების საკითხები. ყურადღება გამახვილებულია „ექვსი სიგმა“ მეთოდოლოგიის გამოყენებაზე ფარმაცევტულ კომპანიაში, როგორც ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების ერთ-ერთი ინოვაციურ მეთოდზე. ასევე საინტერესოა ლეან მეთოდოლოგია, რომელიც არის მომჭირნე აზროვნების ფილოსოფია. მიდგომა, რომელიც საშუალებას გაძლევთ დაზოგოთ რესურსები და მიიღოთ უკეთესი შედეგები. Lean–ის მიზანია ღირებულების შექმნა მისი წარმოების ღირებულების შემცირებით.

მეორე თავში - „ფარმაცევტული კომპანიების მმართველობითი სისტემის ანალიზი, უცხოური გამოცდილება და საქართველო“ ჩატა-რებულია გლობალური ფარმაცევტული ბიზნესის ანალიზი და ქართული ფარმაცევტული ბაზრის კვლევა.

გლობალური ფარმაცევტული ბიზნესი გაანალიზებულია ისეთი ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა ფასნამატის რეგულირება ფარმაცევტულ ქსელში; საგადასახადო შეღავათები/გამონაკლისები ფარმაცევტული პროდუქტებისთვის; ფარმაცევტული პროდუქტის

შიდა რეფერენტული (ეტალონური) ფასების (cost-plus) გამოყენება; საერთაშორისო რეფერენტული ფასი (External Reference Price); გენერიკული მედიკამენეტების გამოყენების ხელშეწყობა; ფარმაკო-ეკონომიკური მიდგომა - ჯანმრთელობის ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით.

ნაჩვენებია, რომ ზემოაღნიშნული ინდიკატორების გამოყენებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტის მიღწევა, როგორც ეს არის მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში, მაგრამ, საამისოდ მრავალ-სექტორული მიდგომა და მარეგულირებლის ოპერატიულ-კომპეტენტური მოქმედებაა საჭირო.

ქართული ფარმაცევტული ბაზრის კვლევის მიზნით განსაზღვრულია კვლევის ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი ნორმები; საერთაშორისო რეგულატორული სტანდარტები საქართველოში; ბაზრის განვითარების დინამიკა; ბაზარზე შესვლის ბარიერები; ბაზრის მოცულობა და სტრუქტურა; ძირითადი იმპორტიორები და მწარმოებლები; სააფთიაქო ქსელი; ბაზრის ძირითადი გამოწვევები - მედიკამენტების ფასი. ხოლო მედიკამენტების ფასის რეგულირების კვლევის მიზნით განხილულია ძირითადი საერთაშორისო მოდელები.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა სამაგიდო კვლევა, სატელეფონო ინტერვიუები, გამოკითხვა ინტერნეტ-კითხვარით და გამოქვეყნებული სტატისტიკური კვლევების მონაცემების შესწავლა-ანალიზი, აგრეთვე ემპირიული გამოკითხვა. ამავე თავშია მიმოხილული ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებლი კანონმდებლობა და

ბაზრის რეგულირების სისტემა, კონკურენტული გარემო ფარმაცევტული ბიზნესის სექტორში და არსებული ბაზრის დინამიკა.

კვლევით დადგინდა საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის ძირითადი მახასიათებლები, რაც საბოლოოდ აისახა ნაშრომის დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

მესამე თავში - „თანამედროვე ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“ - ჩამოყალიბებულია მმართველობითი სისტემის სრულყოფის მოთხოვნები, გაანალიზებულია ინოვაციურ ფაქტორებზე ზემოქმედი გარემო, განსაზღვრულია მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირების თეორიული მიდგომები და ფარმაცევტული ბიზნესის ძირითადი გამოწვევები.

ინოვაციური მართვა მოითხოვს მოქნილ ორგანიზაციულ სისტემას, მყისიერი, ზუსტი და ადეკვატური რეაქციის უნარს შიდა და გარე ცვლილებებზე; ინოვაცია უნდა აიგოს არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებზე; უპირატესობის მოსაპოვებლად საჭიროა ახალი ხედვა, რომელიც ხასიათდება მიდგომით: პროდუქტის კონკურენტუნარიანობა = სიახლე + ფუნქციების კომბინაცია + შეთავაზების ხელოვნება.

მართვის სტრატეგია გასაუმჯობესებელია აგრეთვე იმ შეთხვევაში თუ ორგანიზაციას უჩნდება შიდა (საკუთარი) პრობლემები: დასახვეწია შიდა საქმიანობის პროცესი: დაქვეითდა კონკურენტუნარიანობა; წარმოიქმნა კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი; მოძველდა ტექნოლოგიები; შესუსტდა მომავალი ცვლილებების მოლოდინი; არ არის მკაფიოდ ცნობილი რა სახის პროდუქციაზეა მოსალოდნელი მოთხოვნები და სხვ. ამ დროს აუცილებელია მომავალი ცვლილებებისადმი მრავალ კომპონენტიანი მიდგომა და

გლობალიზაციური პროცესების გათვალისწინება. ეს ყოველივე იძლევა მინიშნებას, თუ როგორი სტრატეგიის გამოყენებაა შესაძლებელი და საჭირო. „ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების სტრატეგიის“ მიხედვით ცნობილია ინოვაციური საქმიანობის სტრატეგიის სამი ძირითადი მიმართულება: „გადმოტანის“ სტრატეგია - ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება საზღვარგარეთული მეცნიერულ-ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოტენციალზე დაყრდნობითა და მაღალეფექტიანი ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების საზღვარგარეთიდან შემენის გზით; „დასესხების“ სტრატეგია - ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქციის, რომელიც მანამდე იწარმოებოდა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, წარმოების ათვისება ქვეყნის საკუთარი ინოვაციური პოტენციალის გამოყენებით; „გაძლიერების“ სტრატეგია - ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ათვისება ახალი და უახლესი ტექნოლოგიების, ქვეყნის საკუთარი მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით. საქართველოს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე საქართველოს უფრო მეტად შეესაბამება „დასესხების“ სტრატეგიის განვითარება, რომელიც შედარებით ნაკლებ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს თუმცა ამავე დროს, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალი. გარდა ამისა, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიზნესის ინოვაციური მდგენელი, მთავარი ფაქტორი ხდება გლობალურ კონკურენციაში; მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სტრატეგიული და ინოვაციური მენეჯმენტის ამოცანებისა და

მიდგომების, ადამიანური რესურსების მართვის სფეროშიც. შესაბამისად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილებები კომპანიის ეფექტიანი მართვის მიზნით, რათა საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს (მ..შ. უმთავრესია მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ჯერ კიდევ გამოწვევაა).

ერთი მხრივ გაზრდილია ჯანდაცვის ბიუჯეტი და მზაობა სახელმწიფოს მხრიდან უკეთესად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანდაცვაზე ზრუნვა, თუმცა ასევე აშკარაა, რომ ქვეყნის მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება თუნდაც ბაზისურ სამედიცინო კვლევებზე, პროფესიონალთა კონსულტაციაზე თუ ძვირადღირებულ მედიკამენტოზურ მკურნალობაზე.

გასაგებია, რომ სახელმწიფო ცდილობს შეინარჩუნოს თავისუფალი ბაზრის პრინციპები - არ ჩაერიოს ბიზნესში პირდაპირი წესით, მაგრამ არის სფეროები სადაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სწორი ეკონომიკური და ბიზნეს პოლიტიკის წარმოება, რათა მოხდეს დარგის სწორი განვითარება, ბიზნესის თავისუფალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, არარეგულირებადი ოლიგოპოლიების, კარტელური და ფარული საფასო შეთანხმებების, ბაზარზე ახალი მოთამაშეების შეღწევისთვის ბარიერების მოშლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანს, რომ დერეგულაციები ხელშემშლელ ხასიათს ატარებს და ბიზნესის თავისუფლებას ფორმალური ხასიათი აქვს.

ჯანდაცვის სფეროსა და ფარმაცევტული ბიზნესის არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები. გადაუდებელი აუცილებლობაა: ჯანდაცვაში გაწეული დანახარჯებისა და მიწოდებული სერვისების ეფექტიანობის

გაზრდა; მედიკამენტებზე ფასების რეგულირება; მიწოდებული სამედიცინო სერვისების ხარისხი - პოლიპრაგმაზია, გენერიკების დანიშვნის სტიმულირება. ამ ყოველივეს ხელს უშლის ფარმაცევტული სისტემისა და კონკურენტული გარემოს სუსტი რეგულაცია და სხვ.

დასკვნები და რეკომენდაციები

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგად მიღებულია შემდეგი შედეგები:

გაანალიზებულია ბიზნეს კომპანიის მართვის თანამედროვე მოთხოვნები ფარმაცევტული ბიზნესის თვალთახედვით;

სისტემატიზებულია ინოვაციური ფაქტორები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა მმართველობით სისტემაში;

ჩამოყალიბებულია ინოვაციური ბიზნეს მოდელების სტრუქტურა და მახასიათებლები ფარმაცევტულ ბიზნესში;

დასაბუთებულია ქართული კომპანიების მიერ მენეჯმენტის ინოვაციური სისტემის გამოყენების აუცილებლობა;

ჩატარებულია ქართული და უცხოური ფარმაცევტული კომპანიების შედარებითი ანალიზი;

შესწავლილი და შეფასებულია მმართველობითი სისტემის თავისებურებები უცხოურ წარმატებულ ფარმაცევტულ კომპანიებში;

ჩამოყალიბებულია საქართველოს ფარმაცევტული კომპანიების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები;

კვლევის ფარგლებში შესწავლილია ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების რეგულირების კუთხით სხვადასხვა საერთაშორისო მეთოდების გამოყენების გამოცდილება;

40 ქვეყნის გამოცდილება – ფასნამატის ზღვარის რეგულირების მეთოდით; და 44 ქვეყანა საერთაშორისო რეფერენტული ფასის მეთოდით;

კვლევის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო რეგულატორული სტანდარტების GMP, GDP, GCP, GLP, GPVP, GPP დანერგვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში;

დადგენილია ბაზრის განვითარების დინამიკა საქართველოში – მოცულობა და სტრუქტურა.

ემპირიული კვლევა ჩატარდა ფარმაცევტულ ბიზნესში დაკავებული სპეციალისტების ინტერნეტ-გამოკითხვით, გამოიკითხა 208 მონაწილე (დარგის სპეციალისტი საქართველოდან), დსთ-ს რეგიონის ქვეყნები და მონღოლეთის ფარმ.ლიცენზირების მენეჯერები – ფასნამატის რეგულაციის მეთოდით ფასის რეგულაციისა და გარე რეფერენტული მეთოდით ფასის რეგულაციის შესახებ. ჩატარდა აგრეთვე პირისპირი ინტერვიუები რეგულირების სააგენტოს პასუხისმგებელ პირებთან, ბაზრის ლიდერი კომერციული კომპანიების წარმომადგენლებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა:

საქართველოში ფაქტობრივად ფასწარმოქნის პოლიტიკის არ არსებობა; საქართველოში მედიკამენტების ფასი ყველაზე მაღალია რეგიონში, რაც ფაქტობრივად ოლიგოპოლიური ბაზრის არსებობას ადასტურებს.

საქართველო გამოირჩევა სუსტად რეგულირებული ბაზრით, საქართველოში მოქმედებს ზედმეტად ლიბერალური კანონდებლობა ფარმაცევტული აქტივობის პროცესის რეგულირებისთვის;

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შემოსვლის ბარიერი ძალიან დაბალია და მხოლოდ 10 დღიდან 3 თვემდეა საჭირო მედიკამენტზე ლიცენზიის მისაღებად, (ფაქტობრივად ხარისხის ლაბორატორიული კონტროლი არ ხდება) მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ლიცენზიის მიღების პროცესი მინიმუმ 12 თვეა. ჯანდაცვის საყოველთაო მოთხოვნებით საჭიროა მედიკამენტების ხარისხის უფრო მკაცრი კონტროლი, სპეციალიზიბული ლაბორატორიების მეშვეობით.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი გაჯერებულია, რაც ერთი მხრივ განაპირობებს მედიკამენტების ჭარბ მოხმარებას. იქმნება სურათი, რომ საქართველოს მოსახლეობაში განსაკუთრებულად მაღალია ავადობის მაჩვენებელი, რაც ჯანმო-ს კვლევების თანახმად, არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ ხელს უწყობს არაკეთილსინდისიერებას სამედიცინო მომსახურების პროცესში.

საქართველო გამოირჩევა აგრეთვე არარეგულირებული, არაგამჭვირვალე, გარკვეულწილად აგრესიული ფარმაცევტული მარკეტინგით და პოლიპრაგმაზიით, მაშინ როდესაც ევროპაში ფარმაცევტული მარკეტინგული აქტივობები ექვემდებარება მთელ რიგ შეზღუდვებს და რეგულაციებს.

ამრიგად, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მედიკამენტებზე ფასის შემცირებას, მედიკამენტებზე ხარისხის კონტროლის მექანიზმების დანერგვას, ფასების გამჭვირვალობას მომწოდებლიდან მომხმარებლამდე, ფასების რეგულაციების დაწესებას.

ნაშრომში მოხერხდა აგრეთვე ტიპიური ამოცანებისთვის სტანდარ-ტული ჩარჩოების ჩამოყალიბება, რომელიც ძალიან მოსახერხებელია ოპერირებისთვის და სტანდარტული ამოცანების ამოსახსნელად

პირდაპირ მზა რეკომენდაციებს იძლევა და რაც ცხადია, ამ მიმართულებით საჭიროა კიდევ უფრო ღრმა კვლევების ჩატარება, მეთოდების გამოცდა სხვდასხვა სფეროს პრობლემებისა და ამოცანების ამოსახსნელად, მათი დაზუსტება/კორექტირება და შემოთავაზებული მეთოდების კიდევ უფრო დახვეწა.

ნაშრომის ნოვატორული შედეგი არის ასევე, ფარმაცევტულ კომპანიების მართვისას წარმოშობილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის მეთოდების და ინსტრუმენტების გამოვლენა. ვინაიდან მოთხოვნილებების, ურთიერთობების და დამოკიდებულებათა სისტემის მუდმივად მზარდი და განახლებადი სტანდარტების პირობებში უპირატესობის შექმნისა და შენარჩუნების მიზნით, ნებისმიერი ნოვატორობა შესაძლებელია პოტენციურად უპირატესობის მატარებელი იყოს ბიზნესისთვის. ამდენად, საინტერესო და ახალ მიგნებად ჩაითვლება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სისტემაში დაპირისპირებულობის ან შეუთავსებელი მოთხოვნების არსებობა და მათი მოგვარების ალგორითმის დადგენა;
- „ქეისების“ არსებობა, რომლებიც გამოიყენება რეკომენდაციების სახით;
- ტექნიკური თუ ურთიერთობრივი შეუთავსებლობები (მაგ. რეგულატორსა და ბიზნესს შორის) არსებობა;

ასეთ ვითარებას ორი მხარე გააჩნია: ერთი მხრივ აღნიშნული გარკვეულწილად ხელს უწყობს ადამიანთა მოტივაციასა და აქტიურობას, ახალი იდეების გენერირებას და ორგანიზაციის განვითარების სტიმულს წარმოადგენენ. ხოლო, მეორე მხრივ იგი იწვევს დისფუნქციურ შედეგებსაც: შრომითი კლიმატის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების

დაქვეითებას, თანამშრომელთა უკმაყოფილებას, კადრების დენადობას და ა.შ.

რეკომენდაციები - ფარმაცევტული ბიზნესის მართვის ეფექტიანობისთვის კრიტი-კულად მნიშვნელოვანია დროულად გადაიდგას ნაბიჯები მედიკა-მენტებზე ფასების რეგულირების კუთხით, დანიშნული მედიკამენტების რაოდენობის კონტროლის კუთხით, ეთიკური ფარმაცევტული მარკეტინგის კუთხით.

საერთაშორისოდ აღიარებული ფასების რეგულირების 6 მოდელის გაცნობის შემდეგ, ზოგადი რეკომენდაციები ასეთია:

ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ ერთზე მეტი მოდელი მოწოდებული ფასების რეგულირებისთვის, გამომდინარე მიზნებიდან, კონტექსტიდან და ჯანმრთელობის სისტემიდან.

ფასების პოლიტიკა, პროცესები და გადაწყვეტილებები უნდა იყოს გამჭვირვალე. საჭიროა გარკვეული რეგულაციების სისტემის სტრატეგიაზე შეთანხმება დაწესება.

ფასების პოლიტიკას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, ადმინისტრაციული და ტექნიკური შესაძლებლობების მხარდაჭრა. უნდა ხდებოდეს მუდმივი მონიტორინგი, ფასების შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული ჩასწორება.

ხელმისაწვდომი მედიკამენტების გამოყენების ხელშესაწყობად, საჭიროა სწორი ფარმაცევტული პოლიტიკა მოთხოვნა-მიწოდების კუთხით.

თუ ქვეყანა დანერგავს ფასების რეგულაციას საჭიროა ასევე გამოიყენოს ეფექტური განხორციელება სტიმულირების, აღსრულების, ფასების მონიტორინგის, ჯარიმების და ა. შ. მექანიზმების საშუალებით.

აუცილებელია გაფართოვდეს გენერიული მედიკამენტების გამო–ყენება, რადგან გაიზარდოს პრეპარატებზე წვდომა და მკურნალობის ხელმისაწვდომობაც.

აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან, რადგან სისტემებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ და გაცვალონ ინფორმაცია მოდელების, მათი გამოყენების შედეგების და ფარმაცევტული პროდუქტების ფასების შესახებ.

როგორც ცნობილია, ფარმაცევტული სექტორი ურთიერთქმედებს ჯანდაცვის სისტემებთან, მრეწველობის სექტორთან, ეკონომიკის და ფინანსურ სექტორთან, საჭიროა ფასების პოლიტიკის რეგულაციებისთვის კომპლექსური მიდგომა და ბევრი სფეროს გათვალისწინება.

ჯანდაცვის პოლიტიკა მეტად მორგებული უნდა იყოს ლოკალურ კონტექსტზე. უპირატესობა უნდა მიენიჭოს პაციენტისთვის გადახდის წილის შემცირებას ან მთლიანად გათავისფლებას.

აუცილებელია შედგეს კონსენსუსი ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ფასთა რეგულირების საკითხში. ერთობლივად შეირჩეს კრიტერიუმები: რეფერენტული ფასის დადგენის მეთოდი, რეფერენტული ქვეყანა, ფასი, მედიკამენტთა ჯგუფები და ა.შ. რათა დადგინდეს რეგულირების ისეთი სტრატეგია, რომელიც გაზრდის ხელმისაწვდომობას;

საჭიროა ადგილობრივი ფარმაცევტული მწარმოებლების სტიმუ–ლირება, რაც ასევე ხელს შეუწყობს ბაზრის ეფექტიანობას და ქვეყნის ეკონომიკას.

საჭიროა დაისახოს სწორი კომუნიკაციის გზები სამედიცინო პერსონალთან და მომხმარებლთან გენერიკების პოპულარიზაციის კუთხით;

საჭიროა გამკაცრდეს რეგულაციები ბაზარზე არსებული მედიკა–მენტების ხარისხის ამაღლების და ფარმაკო-უსაფრთხოების კუთხით;

ფარმაცევტული ბიზნესისთვისაც რეკომენდებულია შეიქმნას ინოვაციური, ყოვლისმომცველი, კომპლექსური, თანამედროვე სტრატეგიის შექმნა – „ფარმაცევტული ბაზრის დოქტრინა“, რომელიც დარგის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე იქნება გათვლილი;

ფარმაცევტულ სექტორში ეფექტურობის ამაღლების მიზნით საჭიროა განხორციელდეს ინსტიტუციური გარდაქმნები, რაც გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების განვითარების ხელშეწყობა;

საინვესტიციო აქტივობების ზრდა ინოვაციური ინფრასტრუქტურის, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ინკუბატორების დანერგვისთვის და ა.შ. ;

განათლების ხელშეწყობა – თანამედროვე ქართული ფარმაცევტული ბაზრის მენეჯერების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად აღზრდა;

ინოვაციების ხელშეწყობის მიზნით ე.წ. „სახელმწიფო პროტექცი–ონიზმის“ დანერგვა (გადასახადების, საბაჟო ტარიფების, კრედიტების, დაზღვევის, შესყიდვების და აშ. მექანიზმების გამარტივება).

ხარისხის კონტროლის საერთაშორისო თანამედროვე „კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის“ სტანდარტების დანერგვა.

ადგილობრივი “ჯენერიკების“ და სუბსტანციების მწარმოებელი კომპანიების ხელშეწყობა.

კანონმდებლობის დახვეწა საავტორო და ეკონომიკური რეგულირების მეთოდების კუთხით.

განსაკუთრებით სასურველია გაძლიერდეს ანტიმონოპოლური სამსახურის საქმიანობა ფარმაცევტულ ბაზართან მიმართებაში.

და ბოლოს, საქართველოს ფარმაცევტული ბიზნესის განვითარე–ბისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარმაცევტული კომპანიების მიერ ინოვაციური მენეჯმენტის მეთოდების გამოყენება. მათ შორის არის „Agile“ მენეჯმენტი, „ექვსი სიგმა“ მეთოდოდლოგია და „Lean“ მეთოდოლოგია, რომელთა დანერგვა კომპანიის მენეჯმენტში მკვეთრად გაუმჯობესებს ფარმაცევტული კომანიების მართვის ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კვლევის შედეგების აპრობაცია - დისერტაციის წინასწარ განხილვა (აპრობაცია) განხორციელდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 2023 წლის 15 მაისს.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის წინაშე დაცულია სამი კოლოქვიუმი და ერთი თემატური სემინარი.

სამი კოლოქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი)

1. კოლოქვიუმი N1 - მმართველობით სისტემაში ინოვაციური თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები 2017 წ;

2. კოლოქვიუმი N2 - თანამედროვე ბიზნესში მმართველობითი სისტემის ინოვაციური განვითარების ეფექტურობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები, 2018 წ;

3. კოლოქვიუმი N3 - ქართული და უცხოური ფარმაცევტული კომპანიების მმართველობითი სისტემის ანალიზი ქართული ფარმა-ცევტული ბაზრის კვლევა (2009-2019 წწ.) და ფარმაცევტული ბიზნესის ძირითადი გამოწვევების დადგენა, 2020 წ.

თემატური სემინარი - სტრატეგიული მენეჯმენტის მმართველობითი ასპექტები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Leadership styles and cultural values among managers in Georgia, International Scientific and Practical Conference “«Зимние научные чтения»”, Kiev, Ukraine, February 22, 2016. Materials of International Scientific Conference. Pages 18-22. (თანაავტორები: მანანა მარიდაშვილი, დავით მეფარიშვილი)

2. The Relationship between Leadership Styles and Motivations of Managers In Georgia, International Scientific and Practical Conference "Актуальные проблемы науки XXI века", Moscow, Russian Federation, February 29, 2016. Pages 111-114 (თანაავტორები: მანანა მარიდაშვილი, დავით მეფარიშვილი)

3. Potential of Innovation Management and Georgian Business Culture, Scientific and Practical Conference «Стратегии и инструменты управления экономикой: Отраслевой и Региональный Аспект », Sankt-Peterburg, Russian Federation, April 14-16, 2016. Pages 54-58; (თანაავტორები: მანანა მარიდაშვილი, დავით მეფარიშვილი);

4. Relationship between Organizational Culture, Leadership Behavior and Job Satisfaction in Georgia-Международная научно-практическая конференция «Перспективы развития современной науки» в Израиле (Иерусалим) 4-6 мая 2016 г. Materials of International Scientific Conference. Pages 14-18. (თანაავტორი: მანანა მარიდაშვილი);

5. Innovation Management Model’s Applications in Georgian. Scientific Journal, “American Scientific Journal ”#4. 2016 Pages 50-52 (თანაავტორები: მანანა მარიდაშვილი, დავით მეფარიშვილი);

6. Challenges of Local Pharmaceutical Market and Innovative Aspects of Regulation – I. Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Economics and Business III International Scientific Conference ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ - მოხსენება და სტატია თბილისი 2018 წ.გვ. 441-444;

7. Challenges of Georgian Pharmaceutical Market - The Sixth International Conference for Bachelors, Masters and PhD Students at Caucasus International University, 27 May 2018 Tbilisi, Georgia

8. „მმართველობითი სისტემის განვითარების მეთოდოლოგიური ასპექტები“, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, თბილისი N6-8, 2018. გვ.239- 256;

9. „თანამედროვე ბიზნესში ინოვაციურ ფაქტორებზე მოქმედი გარემოს ანალიზი” – ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, თბილისი N 10-11, 2018. გვ.143-149;

10. „ფარმაცევტულ ბიზნესში მმართველობითი სისტემის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები“ ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, თბილისი N 6-9, 2020. გვ.168-175

11. „The Main Directions of Increasing the Efficiency of the Management System in the Pharmaceutical Business“. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა”, თბილისი N 6-8, 2022. გვ.16-25. DOI - 10.36962/ecs105/6-8/2022-15

12. „Drug Policy in Georgia and Aspects of Pharmaceutical Business Regulation“_Georgian Medical News, Tbilisi - New York –N 11.2022. ISSN 1512-0112- p.64-70. (თანაავტორები: თ. ჭუმბურიძე, ნ. რობაქიძე, ლ. სოსელია).

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მოხსენება - ბიზნესის რეგულირების ინოვაციური ასპექტები და ქართული ფარმაცევტული ბაზრის გამოწვევები;

ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ – თბილისი, 2018 წ.

Caucasus International University

Faculty of Business and Technology

Doctoral Educational Program in Business Administration

Right of Authorship

Sofiko Gvinianidze

Development of Management System in Pharmaceutical Business

Reaserch Supervisor: Doctor of Business Administration,

Professor Manana Maridashvili

The synopsis of the dissertation is submitted for the Doctor of Business Administration degree

Tbilisi, 0141, Georgia

2023

Reaserch Supervisor:

Manana Maridashvili - Doctor of Business Administration, Professor

Official reviewers:

1. **Ekaterine Gulua – Doctor of Economics, Associate professor at Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

2. **Mamuka Toria – Doctor of Economics, Associate professor at Caucasus International University**

The thesis is defended on 20 July 2023, at 12:00 with the Dissertation Board of the Caucasus International University Faculty of Business and Technology.

Address: 0141, 73 st Chargali, CIU, Building I.

The full version of the dissertation is available at the library of the Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board ----------

Annotation

The pharmaceutical industry is one of the most challenging areas of business in every country in the world. The products of the pharmaceutical industry are essential for the health of all human beings. The importance of comprehensive research on the economic aspects of the development of the pharmaceutical industry is a matter of national security as well, because as one of the most important sectors of the world economy, the pharmaceutical industry has a serious impact on the political, economic or social situation in the world. The last global crisis COVID-19 pandemic is the great example for importance of Pharmaceutical market influential factor worldwide.

The global pharmaceutical market is a huge and inseparable unity of healthcare manufacturers, promoters and consumers (patients): Researchers are creating new medicines for treatment, patients are buying products and doctors are prescribing these products to patients. It is a unique market that includes meeting the vital and essential needs of the population in terms of improving, maintaining and preventing health. All of this has a significant impact on demand formation, which depends on production, supply, range, conjuncture, market opportunities and other characteristics. One of the main foundations for the effective functioning of the healthcare sector is the management of pharmaceutical companies.

The paper highlights the importance of innovative management principles in the Georgian pharmaceutical business, for the effective management and purpose of pharmaceutical companies. Although the principles of management are theoretically fully and thoroughly elaborated and are well known to academic sphere, their practical application is still not at a proper level. Among them are the difficulties in managing the Georgian pharmaceutical business.

In this paper, for the first time in Georgia, innovative methodologies and business models are developed for their use in pharmaceutical business, which allows them to investigate managerial shortcomings in pharmaceutical

companies and develop appropriate recommendations to eliminate gaps in innovative positions, which unconditionally enhances the effectiveness of pharmaceuticals.

The paper emphasizes the need for an innovative approach in the pharmaceutical business and shows its theoretical and especially practical significance. The paper analyzes the theoretical-methodological aspects of innovative features in the management system and the main directions of increasing the efficiency of innovative development, the need for innovation and opportunities in the management system. The dissertation sequentially and scientifically analyzes the stages of development of managerial thinking on the one hand, and on the other hand, shows the results of the effectiveness achieved by the introduction of innovative management principles in pharmaceutical companies. Namely:

The first chapter deals with the modern pharmaceutical market and the perspectives of its development, the modern requirements of business company management, innovative factors in the management system, the importance of innovative factors in the management system, methodological aspects of innovative factors and innovative business models in the pharmaceutical business, which are already successfully implemented in developed countries.

The second chapter analyzes the management system of Georgian and foreign pharmaceutical companies, including the regulation of price tags in the pharmaceutical network, tax benefits / exemptions for pharmaceutical products, the use of internal reference (standard) prices of pharmaceutical products (cost-plus), international External Reference Price, Promoting the use of generic medicines, pharmacoeconomic approach and the use of health technologies. The paper conducts a study of the Georgian pharmaceutical market in 2009-2020, defines the research indicators, and reviews the legislation regulating the pharmaceutical activity and the market regulation system, as well as the competitive environment in the pharmaceutical business sector and market dynamics. Finally, the main challenges of the pharmaceutical business are formulated.

The third chapter sets out the main directions for the improvement of the management system in the modern pharmaceutical business, analyzes the requirements for the improvement of the management system and the environment influencing innovative factors, formulates the theoretical approaches according to which the management decision should be made. Finally, the main challenges of the Georgian pharmaceutical business are defined

In full the paper sets out the methodological principles of the innovative factors of the management system, develops the innovative factors of the management system and the technologies for their implementation; The main directions of increasing the efficiency of the management system have been studied and evaluated; Systematic analysis of innovative factors has been carried out; Effective approaches to innovative factors in the governance system are defined; The state of use of innovative technologies by Georgian and foreign pharmaceutical companies in the management system has been processed.

The main findings and conclusion summarizes the work done and relevant recommendations are made.

The issues discussed in the dissertation work, the results of the research are presented in the text, and author's abstract of the work, which are stored in the library of Caucasus International University. All interested readers can see the dissertation work and its author's abstract without any obstacles.